

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

18. 07. 2016 წელი

79/2

----- ქ. თბილისი № -----

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებებისა და
დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 მუხლის,
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ივლისის №
05/91 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის –
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტის წესდების მე-20 მუხლის, საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის
პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე
მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 56-ე
მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

შეტანილ იქნეს სწორება სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 07 ივლისის № 77/2 ბრძანებაში:

1. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ შიდა მობილობის წესით
საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური ადგილების რეგისტრაციის ვადა
განისაზღვროს 15 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით.
2. შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის
შეცვლის მსურველთა შესაბამის საგანმანათლებლო
ერთეულზე/ფაკულტეტზე/პროგრამაზე რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 22
აგვისტოდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

3. 2016 წლის 01-02 სექტემბერის ჩათვლით განისაზღვროს მობილობის მსურველთა საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურებისა (საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულება) და საუნივერსიტეტო გამოცდის/ტესტირების/გასაუბრების (ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის მიმართულებებზე - კონკურსის შემთხვევაში) ჩატარების ვადად.
4. შესაბამისი კომისიების მიერ მობილობის მსურველთა საბუთების განხილვისა და საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტუდენტებისათვის კრედიტების აღიარების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 02-05 სექტემბერი.
5. 2016 წლის 05-06 სექტემბერი განისაზღვროს მობილობის მსურველთა მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობის გაცნობის და წერილობითი განცხადებით დასტური/თანხმობის დადასტურების ვადად.
6. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის/პროგრამის შეცვლის მსურველთა მიერ შეთანხმების (ძირითად ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) გაფორმება - 07 სექტემბერი.
7. საგანმანათლებლო ერთეულის/ფაკულტეტის მიერ სტატისტიკისა და ანალიზის განყოფილებისთვის შიდა მობილობის წესით გადასული სტუდენტების სიის წარდგენა - 09 სექტემბერი.
8. შიდა მობილობის წესით სტუდენტების გადასვლის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის ვადა განისაზღვროს - 12 სექტემბერი.
9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურებს.
10. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
11. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., № 6.

რ ე ქ ტ ო რ ი

გიორგი მარგველაშვილი